საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლიჩელი ვახტანგ ტარიელის ძე

ვ. ლიჩელი

ლიჩელი ვახტანგ ტარიელის ძე (დ. 16. IV. 1948, ბორჯომი), არქეოლოგი, ისტორიის მეცნ. დოქტორი (1991). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1971). 1970-იდან მონაწილეობს ან ხელმძღვანელობს საქართვ. ტერიტორიაზე ჩატარებულ გათხრებს – ვანი, ნასტაკისი, ძალისა, აბასთუმანი, წნისი, ბენარა, ასპინძა, წაღვერი, მზეთამზე, იგოეთი და სხვ. 2015-იდან დღემდე ხელმძღვანელობს ქართ. არქეოლ. მისიას კვიპროსზე. არის თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკ-ტის არქეოლოგიის ინ-ტისა და არქეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი (2010-იდან).

ლ-ს სამეცნ. მოღვაწეობა მოიცავს როგორც საველე არქეოლ. სამუშაოებს, ისე თეორიული სახის გამოკვლევებს. მან საქართველოში პირველმა (1977) გამოიყენა კომპიუტერული ტექნიკა არქეოლ. კლასიფიკაციის პრობლემების გადასაჭრელად. 1987 დაამუშავა ფენის თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი – არტეფაქტების კულტურულ ფენებში განფენის რაოდენობრივი შეფასების მათემატიკური კრიტერიუმი („ფენის ნაჯერობა“). ფიზიკოსებთან ერთად ამუშავებს დათარიღების თანამედროვე მეთოდებს (ელექტროპარამაგნიტური რეზონანსი და კერამიკის დეჰიდრატაცია). 1994-იდან ინტენსიური სამეცნ. ურთიერთობები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა უნ-ტთან და ინ-ტთან, არის სხვადასხვა საერთაშ. ორგანიზაციისა და კომისიის წევრი, მ. შ. იუნესკოს საქართვ. კომისიის „ადამიანი და გარემო“ წევრი (2010-იდან).

ლ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, მათ შორისაა „საველე არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია“ (2010), „არქეოლოგიის მართვის საკითხები“ (2013), „საუბრები არქეოლოგიაზე“ (2021).

ლ-ს მიღებული აქვს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (2013), წმ. გრიგოლ ფერაძის პრემია (პოლ., 2016), თსუ-ის საიუბილეო (2018), ივ. ჯავახიშვილის სახ. (2018) და თსუ-ის ოქროს (2021) მედლები. არის ქ. ბორჯომის საპატიო მოქალაქე (2011).